KARR1333085505023

№13-33616
05 / აპრილი / 2023 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ქალბატონ ნათია მერებაშვილს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის ორგანიზაციული
უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის
ბიძინა ქუმსიაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნათია,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2023 წლის 5-8 აპრილს საქართველოს ეწვევა ესტონეთის გენერალური პროკურორი ბატონი ანდრეს პარმასი.

ვიზიტის ფარგლებში, დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, 2023 წლის 5 აპრილს, ესტონეთის გენერალური პროკურორი ბატონი ანდრეს პარმასი შეხვდება საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ ირაკლი შოთაძეს.

2023 წლის 7 აპრილს, ასევე დაგეგმილია ვიზიტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ოქროს ფონდის და ოკუპაციის მუზეუმის დათვალიერება ინგლისურენოვან გიდთან ერთად) და მცხეთის ტური (ჯვრის მონასტრის, შიომღვიმის და სვეტიცხოვლის დათვალიერება ინგლისურენოვან გიდთან ერთად).

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის სამსახურს თანდართული ინვოისების შესაბამისად უზრუნველყოს მუზეუმში ვიზიტის და მცხეთის ტურთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

დანართი: „02“ ფურცლად.

პატივისცემით,

სამმართველოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბიძინა ქუმსიაშვილი